საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია | № 298 | 1918 წ. კვირა. აგვისტოს 4 | № 298

# სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

## ბაქოზე ოსმალებს იერიში მიაქვთ. დასავლეთის ფრონტზე ბრძოლა გრძელდება.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

**ღირს:** თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

კვირას, აგვისტოს 4 ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

### კნ. ანასტასია ალექსანდრეს ასულის მაჩაბლის

სულის მოსახსენებლად. რასაც განსვენებულის შვილები ნიკოლოზ მაჩაბელი და ელენე ჩერქეზიშვილისა, და ნინო წერეთლისა და ძმა გიორგი ბაგრატიონ-დავითიშვილი აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ. წირვის დასაწყისი 10 საათზე, პანაშვიდის 12 საათზე. 527

ღრმად დამწუხრებული მეუღლე იოაკიმე ალექსის ძე მურუსიძე და შვილი მისი გოგილა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, აგვისტოს 4 (ახალი სტილით) გადახდილი იქნება შვიდი დღის წირვა და პანაშვიდი ქ. ტფილისში კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე უდროოდ გარდაცვალებულის

### ნადეჟდა ლაზარეს ასული მურუსიძის

სულის მოსახსენებლად განსვენებულის საფლავზე. პანაშვიდი დაიწყება დილის 11 საათზე. 829

ივლისის 29-ს (ძვ. სტ.) ქ. ყვირილის წმიდა ნინოს ეკლესიაში გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვი დაუვიწყარი და საყვარელი

### აგრაფენა ერმინეს ასული კვინიკაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ; ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ; დედა სოფიო ბესარიონის ასული, მამა ერმინე ლაზარეს ძე, ძმა ნიკოლოზ ერმინეს ძე, რძალი მარგარიტა ნიკოლოზის ასული, დები: მარიამი, გალენა და ლუბა კვინიკაძეები. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. 828

გულ-ოკლული დედა პელაგია, მეუღლე მარიამი შვილით პატარა კუკურით, და ელენე, ძმები უშანგი და ლევონტი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას, აგვისტოს 4 (ახალი დროით) გადახდილი იქნება ერთი წლის წირვა და პანაშვიდი ს. ლანჩხში ქ. მაზრა წმიდა გიორგის ეკლესიაში უდროოდ სიცოცხლე მოსპობილის

### პიპიკო (ალექსანდრეს) თომას ძე ელიავას

სულის მოსახსენებლად განსვენებულის საფლავზე. პანაშვიდი დაიწყება დღის 12 საათზე. 862

ბაკურიანის მეორე საექიმო რაზმი დიდის მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ძვირფას

### ექიმ არჩილ გიორგი ძე ამირეჯიბის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 830

**წმ. ნინოს სასწავლებლის საზაფხულო ბაღი.**

კვირას მარიამობისთვის 4 მეხუთე ქართულ პოლკში მსახურთა შვილების გამოსაზრდელ ფონდის დასაარსებლად გაიმართება

I) **დიდი სეირნობა** კონცერტი კაბარე და ცეკვა ღამის 3 საათამდე

II) **კონცერტი** ორ დიდ განყოფილებად.

მონაწილეობენ ტფილისის სახელმწიფო თეატრის მსახიობნი ქ-ნი: შვამბერგი, მილიავისა-კორონა, ფირსოვისა; ბ-ნნი: კანშინი, ვრონსკი, ნიკოლსკი და ინაშვილი.

კონფერანსიე **ნ. ა. დიმოვი.** როიალთან **სანდრო კორონა.**

სეირნობა დაიწყება 8 საათზე საღამოთი, კონცერტი კი 9 საათზე ახალი დროით.

ბილეთები იყიდება „ძმურ ნუგეშში“ 8—10 საათამდის საღამოთი და პოლკის შტაბში (საპიონის ქუჩა).

საღამოს დიასახლისი ქ-ნი **ბალუევისა.**

საღამოს პასუხისმგებელი გამგე **გ. დ. ბარნაბიშვილი.**

1261 თანაშემწე **კ. ბადრიაშვილი.**

**საქართველოს რესპუბლიკის** მხედრობის მომარაგების უფროსის სამმართველოს საინტენდანტო ნაწილი ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის აგვისტოს 6, სამშაბათს, დღის 12 საათზე, ზემოხსენებულ ნაწილის სადგომში (ნიკოლოზის ქუჩა, № 51) დანიშნულია სიტყვიერი და დაბეჭდილ კონვერტებით საჯარო ვაჭრობა ქ. ტფილისის გარნიზონისთვის სახაზინო ფქვილიდან დღეში დაახლოვებით 300—400 ფუთი პურის გამოცხობაზე. ვისაც პურის ცხობა იკისროს, საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს წერილობითი განცხადება თავისი პირობებით. ვინც მხოლოდ სიტყვიერ ვაჭრობაში მიიღებს მონაწილეობას, იმანაც ამის შესახებ წერილობითი განცხადება უნდა შემოიტანოს. განცხადებას თან უნდა ერთოს მესაფუ(?) მოწმობა იმის შესახებ, რომ მოვაჭრეს აქვს რიგზე დაყენებული პურის საცხობი, მოეპოვება ამ საქმისათვის საჭირო აუჯიუ(?)ლობა და ან რამდენი ფუთი პურის გამოცხობა შეუძლიან დღე-ღამეში; ამას გარდა უნდა წარმოდგენილ იქმნას ბედ 3000 მანეთი განცხადებას ზედ მანეთიანი ღერბის მარკა უნდა ეკრას. 1264

**საჯარო შეჯიბრება.** ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ 1918 წლის მვისტოს 5-ს გამგეობის თანდასწრებით გაიმართება **საჯარო შეჯიბრება.** საფაიტონო „ბლიახების“ 5800 ცალის დამზადების წინადადებზე. ცნობების მიღება შეიძლება გამგეობის მე 4 განყოფილების კანცელარიაში.

2263 გამგეობის წევრი დავიდოვი

კვირას, აგვისტოს 4-ს, თერთმეტის ნახევარზე დილით ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნულია

### საგანგებო საზოგადო კრება

**ქართული საფილარმონიო საზოგადოების წევრთა**

განსახილველია საკითხი საზოგადოების მოქმედების გაფართოვებისა. და ამასთან ერთად შემუშავება შესაფერ წესდებისა.

რადგანაც ეს კრება მეორედ ინიშნება, ამისათვის წესდების ძალით კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. 1260

### სასახლის ბაღში

**გაიმართება აგვისტოს 4 და 5-ს**

### დიდი სახალხო სეირნობა

**ლატარეია-ალეგრით** და სხვა და სხვა გასართობებით. პტი შვო, ყვავილები, ფოსტა, ტუმბო, ბუფეტი, კაბარე და სხვა. მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი მსახიობები ალ. წუწუნავას ხელმძღვანელობით. სეირნობის დროს დაუკრავს ტფილისის ყველა სამხედრო ჯარების შეერთებული ორკესტრი კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით.

ლატარიაში ჩაგდებულია 6000 მეტი ნივთები, თვითმადუღლები (სამოვრები) ქვაბები ხეწრები, პალტოები, საცვლები და სხვა და სხვა მრავალი ნივთები.

სეირნობის მთელი შემოსავალი მოხმარდება საქართველოს ტერიტორიაზე ომის მიერ დაზარალებულებს. სეირნობას მართავს გურიის დამხმარე კომიტეტი.

**დასაწყისი ნაშუადღევის 12 საათზე.**

ბაღში შესავალი ბილეთები 2 მან. მოზრდილთათვის, ბავშვებისათვის 1 მან. 819

**დიდი ცირკი**

### ძმ. ეფიმოვებისა



მიხეილის პრ., მუშტ., ახლო, საკუთ., ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—60.

1918 წ. დღეს, აგვისტოს 4-ს გაიმართება

### დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა

პირველი გასტროლი მე-XX საუკუნის აკვარიუმ—ადამიანის ეგვიპტელ **ალისა**, რომელიც მოწვეულია მხოლოდ 3 გასტროლზე. დღეს გასტროლი ცნობილ **ბოსიაკების კაპელისა**, რომელსაც ანდრენკო და იზვეკოვი უხელმძღვანელობენ. გასტროლი სოლისტკის ქ-ნ დობროვოლსკის, მონაწილეობს მთელი დასი. ალის გამოსვლა 10 ს.

831 მთავარი ადმინისტრატორი პ. **ელიზაროვი.**

**ფრანგულ ენის მასწავლებელი ქალი,** ჩამოსული, იძლევა პრაქტიკულ და თეორიულ გაკვეთილებს, თანახმაა იყოს dame de compagnie რამდენიმე საათით. ნახვა შეიძლება 10—$11^1/_2$ საათამდე და საღამოთი 7—9 საათამდე. გუნიბის ქ., 43, ბინა 5. 120

## ტფილისი, აგვისტოს 4

დიდი ხანი არ არის **ფინანსიური** მას შემდეგ გასული, **სამზადის**, რაც საქართველოს რესპუბლიკისათვის თითქმის საბედისწერო საკითხად იყო გადაქცეული ფულის საკითხი. საზოგადოება, საპარლამენტო კომისია, პარლამენტი, პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობდენ ამ საქმეს. მეზობელი ერები თვალყურს ადევნებდენ საქართველოს მთავრობის პირველ ნაბიჯს ფინანსების სფეროში და უნდა ითქვას ჩვენი მთავრობისათვის: 200 მილიონი მანეთის ბონების გამოცემა და ფინანსიური კონტაქტი სომხებთან, საქართველოს მთავრობის რაინდული ნაბიჯი უფრო იყო, ვიდრე ფინანსიურ მერკანტილიზმით ნაკარნახევი.

რასაკვირველია მომენტი ეხლა ახალ საკითხს გვიყენებს გადასაჭრელად. რესპუბლიკის ხარჯები ისე მატულობენ, იმდენი დასაკმაყოფილებელი ახალი წყაროები ჩნდებიან, რომ ის 120 მილიონი მანეთი, რომელიც ბონების სახით შედი ჩვენი ხაზინის სალაროში, წვეთია ზღვაში. სულ მოკლე მომავალში ჩვენ თვალწინ წამოდგება ბონების ბეჭდვის კიდევ ახალი საკითხი და ეს საქმე შემდეგში უფრო რთული, ძნელი და საშიში იქნება, ვიდრე იყო პირველი ფინანსიური ნაბიჯი საქართველოს რესპუბლიკისა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფაქტიურად საქართველომ იკისრა პასუხისმგებლობა 500 მილიონ მან. ბონებისა, რომელიც დღემდეა გამოცემული. კიდევ ახალი ბონების გამოცემა თუ ფინანსიური შემოსავლის წყარო სხვა არ დაისახა გარდა მანქანებისა ძალზე დასცემს ისედაც დაცემულ ქართულ ფულის ღირებულებას და არსებულ ფინანსიურ-ეკონომიურ კრიზისს კიდევ უფრო გაამწვავებს. დროა ფინანსების საკითხი მოვაგვაროთ ფინანსების მობილიზაციით, გადასახადების მოკრებით, საბჟოს და აქციზის აპარატის ამოძრავებით. ყოველგვარი ზომა უნდა მივიღოთ დაუყონებლივ, რომ ძლიერი სახელმწიფოებრივი აპარატით სახელმწიფოს ბიუჯეტის დებეტმა წესიერი ხასიათი მიიღოს და ჩვენი სახელმწიფო სახელმწიფოს დაემსგავსოს. სად გაგონილა არსებობდეს სახელმწიფო, რომელიც მხოლოდ ხარჯავდეს და არსაიდან არაფერს იღებდეს. უნდა ვსძლიოთ ყოველგვარი დაბრკოლება, მოვახერხოთ, შევსძლოთ, რომ ბონების ბეჭდვაში არ ვხედავდეთ სახელმწიფოს ერთად ერთ ხსნას.

ჩვენ ვიცით, რომ ამ მხრივ მთავრობის ფინანსიური უწყება არ აკლებს ძალ-ღონეს, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ენერგიის კიდევ უფრო ამოძრავება დააჩქარებს და სარგებლობას მოუტანს ქვეყანას.

ძალიან კარგად ვიცით, რომ რამდენადაც არ უნდა გადიდდეს შემოსავალი მცხოვრებთა და სახელმწიფო ხარჯწავი(?) დაწესებულებებიდან ჩვენი სახელმწიფო მაინც იქნება იძულებული მიმართოს ემისიის ქაღალდის ფულების დასაბეჭდად. რამდენად ნაკლებ ქაღალდს გავაფუჭებთ, იმდენად სასარგებლოა ქვეყნისათვის, მაგრამ რამდენადაც ქაღალდის ფულს მივცემთ რეალურ სარჩულს გარანტიის სახით, იმდენადვე წესიერ კალაპოტში ჩავაყენებთ ეკონომიურ ცხოვრებას და ხელს შეუწყობთ სახელმწიფოებრივ სიმტკიცეს. აქედან აშკარაა, რომ ჩვენ ეხლავე უნდა ვიბრუნოთ ეროვნულ ფულის, ან მის სუროგატის — ეროვნულ ბონების გამოცემისათვის. ეხლავე დავინახოთ ქვეყნის ეკონომიური საფუძველნი ჩვენი სახელმწიფოსი და აზრი, რომ საქართველოს თამამად შეუძლიან გაუძლოს თავის ფინანსიურ მოთხოვნილებებს.

ამ შემთხვევაში საჭირო არ არის ფინანსიურ დოგმატიზმით გამსჭვალვა. ყველამ კარგად ვიცით, რომ ვიდრე მდგომარეობა სავსებით არ არის გამორკვეული და ეკონომიურ ცენტრებთან ერთად დაშლილი საეკონომიო კულტურის გზები მტკიცე ეროვნულ ფულის სისტემას ვერ შექმნით. ხოლო რაც შეეხება ეროვნულ ბონებს მისი გამოცემა მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის პასუხისმგებლობით არაფრით არ არის უარესი ამიერკავკასიის ბონების სისტემაზე.

სამწუხაროდ, ადგილობრივი პრესა უყურადღებობას იჩენს ამ საქმისადმი. დრო კია ფინანსების კონიუნქტურა მსჯელობის საგანი გახდეს პრესაში, ვინაიდან თუ ეხლავე არ გამოვარკვიეთ ამ საკითხის ყოველი დეტალი, გაივლის სულ ერთი-ორი თვე და თავსამტვრევი საკითხი გონებას დაგვიბნევს და ჩვენს ნორჩს პარლამენტს გადავადგმევიებთ ნაბიჯს, რომელიც ამას წინად გადადგა 200 მილიონ მანეთის ამ.-კავკ. ბონების გამოცემის დადასტურების დროს.

## ჩვენ და სოც.-დემოკრატები

დღეს ჩვენ და ჩვენებური ს.-დემოკრატები, მენშევიკები ერთად ვართ, შეთანხმებულად ვმუშაობთ, შეკავშირებულნი ვაწარმოებთ საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეს. შეიძლება, პირველის შეხედვით, ეს ვისმე ეუცხოოს: ადამიანები თექვსმეტ-ჩვიდმეტ წლის განმავლობაში ერთმანეთს მტრობდნენ, ერთხელაც არ გამოსულან ერთად და ეხლა ერთბაშად ასეთი ცვლილება მოხდა!

მაგრამ საქმის ვითარებას ვინც ჩაუკვირდება, ადვილად დაინახავს, რომ ეს დაახლოვება და შეკავშირება ს.-ფედერალისტებისა და მენშევიკებისა ბუნებრივია და აუცილებლად უნდა მომხდარიყო ეხლანდელ პირობებში. აქ შემთხვევით და ხელოვნურად არაფერი მომხდარა. ფაქტს სერიოზული საფუძველი აქვს, იგი ემყარება სინამდვილეს.

ჩვენი და მენშევიკების გზები ჯერ მაშინ შეხვდნენ ერთმანეთს, როცა ბოლშევიკებმა ძალით გაბატონება მოინდომეს ჩვენში. იყო დრო, როცა ჩვენ თანაუგრძნობდით ბოლშევიკებს, როგორც ოპოზიციას, როგორც მებრძოლთ იმათ წინაამდეგ, რომლებიც აწარმოებდნენ რუსეთში ცენტრალისტურ პოლიტიკას და სათანადო ანგარიშს არ უწევდნენ ერთა განთავისუფლების საკითხს. მაგრამ ბოლშევიკებმა რომ მართველობა ხელში ჩაიგდეს და საქმით ერების თვითგამორკვევის განხორციელებას წინააღუდგნენ, ჩვენი დამოკიდებულება შეიცვალა. განსაკუთრებით გარკვეული სახე მიიღო უკანასკნელმა მაშინ, როცა ჩვენებურმა თითო-ოროლა ბოლშევიკმა მოინდომა გარეშე ელემენტების დახმარებით საქართველოს ძალით დამორჩილება. ცხადი იყო, რომ ბოლშევიკების გამარჯვება მოასწავებდა ნამდვილად ცენტრალიზმის ბორკილების გამაგრებას, ქართველი ერის ნებისყოფის მთელიანობის(?) და დახშობას, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვით ბოლშევიკები უფრო ფედერაციას და ერთა თავისუფლებას ემხრობოდნენ. ერთმანეთს დაუპირდაპირდნენ ჩვენი მენშევიკები, რომლებიც ქართველი ხალხის დიდ უმრავლესობას ემყარებოდნენ, ქართველ ხალხში ეძიებდნენ ძალას, და ბოლშევიკები, რომლებსაც გარეშეების, უცხოელების დახმარებით უნდოდათ გამარჯვება. ისე გამოდიოდა, რომ ქართველი ერი, ყო-

ველს შემთხვევაში მისი დიდი ნაწილი, ებრძოდა გარედან მოსულს ხალხს. ბრძოლა იღებდა ძალაუნებურად ეროვნულს ხასიათს. აშკარა იყო, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩვენი თანაგრძნობა მხოლოდ მენშევიკებს ეკუთვნოდა და მათ უნდა დავხმარებოდით, ვინაიდან მათი მოქმედება ხელს უწყობდა ერთა შორის თანასწორობის დამყარებას და კერძოდ ქართველი ხალხის თავისუფლებას...

მოხდა რამოდენიმე ფრიად მნიშვნელოვანი მრვლენა როგორც რუსეთის ისე ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რასაც მოჰყვა დაბოლოს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადება. ჩვენებური მენშევიკები მიემხრნენ ამ დამოუკიდებლობას და სათავეში ჩაუდგნენ თავისუფალ საქართველოს სახელმწიფოებრივობის მოწყობას. მთელის თავის ენერგიით, სულით და გულით ემსახურებიან ამ საქმეს, ხალისით მუშაობენ და არაფერს ზოგავენ, რომ „უზრუნველჰყონ ქართველი ერის დამოუკიდებელი არსებობა და პოლიტიკური დაწინაურება.

შეუძლებელია, წარმოუდგენელია, რომ ამ დროს ამ მუშაობაში ჩვენ მათთან არ ვიყოთ მთელის ჩვენის ძალღონით და მათთან ხელჩაკიდებულნი არ ვაკეთებდეთ საქართველოს და ქართველი ხალხის აღორძინების უდიდეს საქმეს, დღეს ჩვენ და მათ ერთი საქმე ერთი გზა, ერთი მისწრაფება გვაქვს და მხოლოდ უნდა ვეხმარებოდეთ ერთმანეთს. წინად ჩვენი და მათი მთავარი საბრძოლველი საგანი იყო ეროვნულა თავისუფლება და რაკი ისტორიულმა მსვლელობამ ეს საკითხი გადაჰქრა ჩვენის დემოკრატიულის რესპუბლიკის დაწესებით, ბრძოლის მთავარი მიზეზები მოისპო და მის მაგიერ შეიქნა ნიადაგი საერთო შეთანხმებული მოღვაწეობისა.

რაც შეეხება სოციალურ-ეკონომიურ საკითხებს და მსოფლმხედველობას ფილოსოფიურ საფუძვლებს, აქ რჩება განსხვავება, მაგრამ ეს ხელს არ შეგვიშლის რომ ჩვენ და ისინი, როგორც სოციალისტები და დემოკრატები, ხშირად შევხვდეთ ერთმანეთს და ერთად განვახორციელოთ მშრომელი ხალხის სასარგებლო პოლიტიკური და სოციალური რეფორმა და ერთად ვიმუშოთ ჩვენი საბოლოო მიზნისათვის.

მართალია, არის ერთი დიდი საკითხი სახელდობრ აგრარული, რომელშიაც ჩვენ და ისინი ერთმანეთს დიდად ვეწინააღმდეგებით. მაგრამ ამ საქმეში დღეს წინააღმდეგობაა თითოეულ პარტიის ჯგუფებშიც, მაგალითად გერმანიის სოც. დემოკრატიულ პარტიაში რევიზიონისტები წვრილი მიწათმოქმედების კერძო საკუთრების მომხრენი არიან, ხოლო მეორე ნაწილი კაუცკის მეთაურობით მოითხოვს კერძო საკუთრების მოსპობას და მიწის განსაზოგადოებას.

ამიტომ ამ გვარი განსხვავება არსებითად ვერ დააბრკოლებს შეთანხმებულ მუშაობას, სადაც ეს საჭიროა. ვებრძოლოთ ერთმანეთს კეთილშობილურად საკუთარის აზრების დასაცავად. მაგრამ ვიმუშაოთ ამხანაგურად საერთო საქმეებისთვის. ასეთი საერთო საქმე დღეს ჩვენ და მენშევიკებს მრავალი გვაქვს.

სამ. ფირცხალავა.

# აჯანყებანი ჩვენში.

რევოლიუციას თავისი ლოღიკა აქვს. ყველას უკვირდა, ახარებდა ის გარემოება, რომ რუსეთის რევოლიუცია თითქოს უსისხლოდ მოხდა. მაგრამ ეხლა ყველა დარწმუნდა, თუ რამდენად შემცდარი იყო ეს აზრი: შეიძლება არც ერთს რევოლიუციის დროს იმდენი სისხლი არ დაღვრილა, რამდენიც რუსეთის განუზომელ სივრცის დაბა-ქალაქების ვიწრო და ბნელ ქუჩებში. სამოქალაქო ომი იქ ყველაფერს ფლობს და თავის დაღს ასვამს.

ჩვენში სამოქალაქო ომი თავს აცილებული გვეგონა. მაგრამ თუ დააკვირდებით ჩვენი ცხოვრების უკანასკნელ რამდენსამე თვის ცხოვრებას, ადვილად დარწმუნდებით, რომ საქართველოშიაც სწარმოებს ხსენებული სამოქალაქო ომი. არც საკვირველია ძალიან გულუბრყვილონი ვიყავით, როდესაც გვეგონა, თითქოს რაიმე საკითხი მიტინგებითა და იქ გამოტანილ რეზოლიუციებითა სწყდებოდეს, სრულიად დაგვავიწყდა ბისმარკის ბრძნული თქმა: დიადი ისტორიული საკითხები სწყდება არა კენჭისყრით და რეზოლიუციებით, არამედ ცეცხლითა და მახვილითაო.

ამიტომ ვიმეორებ, სრულიად არ უნდა გვაკვირვებდეს დღევანდელი აჯანყებანი, საქართველოს სხვა და სხვა ჩამო-

ვიცოდეთ ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია ხოლო რა ძვირფასი ვარდი — დამოუკიდებლობა მოსწყვიტა ქართველმა ხალხმა ამ მოკლე ხანში — ყველამ უწყის.

რა ხასიათისაა ჩვენში მომხდარი აჯანყებანი? უპირველესად ყოვლისა, ის არაა აჯანყებულთა წარმოდგენით კონტრ-რევოლიუციონური. მეამბოხენი გამოდიან ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ გაუგებრობის, უვიცობის და ველურობის გამო. მათ ვითომ აქ ამოძრავებთ უკიდურესი »სოციალისტური“ ლოზუნგები. მაგრამ არსებითად მთელი ეს ამბოხება კონტრ-რევოლიუციონურია, კონტრ-რევოლიუციონურია, რადგან მიმართულია ჭეშმარიტ რევოლიუციონურ მთავრობის წინააღმდეგ. კონტრ-რევოლიუციონურია, რადგან ძირს უთხრის რევოლიუციის ყოველს მონაპოვარს და ლამობს ოხლოკრატიის დამკვიდრებას — დემოკრატიის მაგივრად. არ აღვნიშნავთ, თუ როგორ სარგებლობენ ნაძირალა — ყაჩაღები გლეხობის უვიცობით და რანაირად აშენებენ მათს უბედურებაზე საკუთარ ბედნიერებას. ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩვენი მთავრობა ძლიერ კარგად იქცევა, როდესაც ამნაირ ვანდეას სასტიკად ებრძვის და სისხლითა სურს გაუქროს მოწინააღმდეგეს ბრძოლის ხალისი. ზედმეტია აქ სანტიმენტალობა, წუწუნი ყოველგვარი უკიდურესი ღონისძიება აქ მისაღები და გასაგებია. ნუ შეგვაშინებს ჩვენ მტერ-მოყვარეთა სისინი: ძველი რეჟიმის აჩრდილი აღადგინეთო. დიახ, ვუპასუხებთ ჩვენ რობესპიერის სიტყვებით, ცული, ასე რომ ბრწყინავს თავისუფლებისათვის მებრძოლის ხელში, სწორედ ისეთია, როგორც ცული — ტირანებსა და ჯალათებს რომ სჭერიათ. რევოლიუციონური მთავრობა — ეს არის დესპოტიზმი თავისუფლებისა ტირანიის წინააღმდეგ.

ხოლო ხმალი მთავრობისა სიმძლავრესთან, სამართლიანიც უნდა იყოს. უეჭველად „მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ჩვენი გლეხობა ზოგჯერ მართლაც გაუგებრობით ამხედრებულა მთავრობის წინააღმდეგ. ამ მხრით საინტერესოა ერთი ამბავი, რომელსაც გადმოგვცემს საჩხერის ამბების კორესპონდენტი. დამარცხდნენ მეამბოხენი, დაჰყარეს იარაღი და სოფელმა მორჩილება განაცხადა. გამართეს კრება და უთხრეს ხალხს. რა გინდათ, რად აჯანყდითო, მთავრობის მოთხოვნილობებს რატომ არ ასრულებთო? გამოვიდა ერთი მოხუცი და გაბედულად განაცხადა: კარგით, რაც გნებავთ ის ჩაიდინეთ. ეგ იარაღი წაგვართვით და დაგვამარცხეთ მაგრამ ჭალდ-ცული ხომ ჩვენა გვრჩება, იმას მოვიხმართ, ბატონ-ყმობა აღ ადგინეთო. დამახასიათებელია აგრეთვე ის მისალმება, რომლითაც მიმართა ჩვენს ჯარს დამარცხებულმა ბრბომ საქართველოს სამხედრო გზაზე „ეთილი ყოს თავადაზნაურობის მობრძანებაო.

რას ნიშნავს ეს? მხოლოდ იმას, რომ მთელი წლის მიტინგობიამ ვერავითარი შეგნება შეიტანა ხალხში, რომელიც მხოლოდ ხელშესახებ ფაქტს უწევს ანგარიშს. ამნაირი რამ კი რევოლიუციამ ვერ მიანიჭა. მოსპობა ფეოდალურ წყობილების ყოველგვარ ნაშთებისა — აი, უპირველესი მიზანი დღეს მიწა მიწის მუშას, რა ფორმითაც უნდა იყოს — აი, ლოზუნგი მომენტისა. რადგან შეუძლებელია მარტოოდენ გაუგებრობით და პროვოკაციით ავხსნათ ჩვენში მომხდარი ამბოხებანი. უეჭველია მას თავისი მიზეზები ჰქონდა. უკმაყოფილება დიდი ხანია მზადდებოდა. ხოლო უკულტურო, უენო მასსას, სად შეუძლიან გარკვეული ხასიათი მისცეს მოძრაობას! იგი, კარლეილის თქმისა არ იყვეს, ენკელადს მოგვაგონებს, მიწის ძვრას რომ ახდენდა, როდესაც ჰსურდა თავისი ტანჯვა-წვალება გამოეთქვა. უეჭველია დიდი რამ აწუხებდა უბირ ხალხს, რომელმაც იარაღი აიღო ხელში და ბრძოლა გაუმართა თავისუფლებას. უეჭველია ხალხის ეს ენერგია სხვა დროს გამოგვადგება, როდესაც ჩვენ სწორ მიზნებს დაუსახავთ მას და სამშობლოსათვის კეთილ გზაზე დავაყენებთ

ეს გაუგებრობა უნდა მივიღოთ მხედველობაში და უდიდესი ყურადღება მივაქციოთ ამბოხებათა მიზეზებს. უკვე არსებობს საგამომძიებლო კომისიები საჭიროა მათი ენერგიული მუშაობა, რათა გავიგოთ ნამდვილი, ძირითადი მიზეზები, რამაც გულუბრყვილო ხალხი ასე ადვილად ააყოლა პროვოკატორებს და ნაძირალებს. ჩვენმა მთავრობამ კი უნდა განაგრძოს ძველებრ მედგარი ბრძოლა ყველა მაათთან, ვინც ნებსით თუ უნებლიედ, ურჩია თავისუფლებისა. ხოლო მეორე მხრით უნდა ეცადოს, რაც შეძლება მათი განახორციელოს გადაუ-

ბის მომწესრიგებელი და დამამშვიდებელი. ჩვენი ხსნა მხოლოდ ესაა. რევოლიუციონურ საქართველოს მთავრობას ცალ ხელში ხმალი უნდა ეჭიროს, ხოლო მეორეში ჩირაღდანი, რათა ჩვენი გაველურებული ხალხის ბნელით მოსილ ცხოვრებაში შეიტანოს ძლიერი სხივი ახალი ცხოვრებისა.

ქ. რაჭველიშვილი.

# მთავრობაში

პარასკევს მარიამობის თვის 2-ს ფინანსთა სამინისტროში პარველ-დ განიხილეს კანონპროექტი ღვინის გადასახადის და საქართველოს ტერიტორიაზე ღვინის ვაჭრობის შესახებ. მონაწილეობა მიიღეს უწყებათა წარმომადგენლებმა, მეღვინეთა კავშირმა ქართველმა მევენახეებმა თავმჯდომარეობდა ჟურული. კანონ-პროექტი შედგენილია ძველ ფრანგულის სისტემით გადასახადს შემოიღებენ, როდესაც ღვინოს მწარმოებლიდან მყიდველი ან ღვინის ვაჭარი მიიღებს. მევენახეები ყოველგვარ გადასახადისაგან განთავისუფლებულნი იქნებიან. ღვინის ვაჭრობა თავისუფალი იქნება. საქართველოს ტერიტორიიდან ღვინის გატანისათვის გადასახადი იქნება. კანონპროექტი მოწონებულ იქმნა. სააქციზო გადასახადი 300 მილიონი იქნება წელიწადში

სამიწათმოქმედო მინისტრის მოხსენებით საზღვარ-გარედ სხვა და სხვა საქონლის მალულად გატანის შესახებ, დადგენილია: დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს მიიღოს ზომები ამ მოვლენის მოსასპობად.

შინაგან საქმეთა მინისტრმა წინადადება მისცა ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსს: განკარგულება გაეცით, რათა ტფილისის გუბერნიის შრომის კომისარს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ, რომ სამრეწველოების პატრონებმა მათზე გაწერილი გადასახადი დროზე შეიტანონ სავადმყოფო კასების შესანახადო.

აგვისტოს 2-ს მთავრობის სხდომაზე დადგენილია; კავკასიაში მედიკურ ნაწილის სამართველო გაუქმებულ იქმნას და დათხოვნილებს სალიკვიდაციო ფული მიეცეს. დადგენილია აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროსთან სასანიტარო-მედიკური განყოფილება დაარსდეს.

მედიკურ სასანიტარო განყოფილებაში შტატები ისე იქნება განაწილებული, როგორც მედიკურ ნაწილის განყოფილებაში.

მთავრობამ დაამტკიცა იუსტიციის მინისტრის დადგენილება, რომ სასამართლოს ყველა აქტი იწყებოდეს სიტყვებით: „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახელით“.

მთავრობის თავმჯდომარის მოხსენების თანახმად — ყველა შტატს გარეშე დარჩენილ მოსამსახურის შესახებ დადგენილია: სამხედრო მინისტრს დაევალოს წინადადება მისცეს მათ საქართველოს ტერიტორიიდან გავიდნენ. თუ ამას თავის ნებით არ შეასრულებენ, ადმინისტრატიული წესით გადაასახლებენ.

საკონსტიტუციო კომისიის მოხსენებით, მთავრობამ დაადგინა, რომ პარლამენტის წევრებს უფლება არა აქვთ სხვაგან სადმე იმსახურონ.

# ეროვნული საბჭო

აგვისტოს ორის სხდომა.

თავმჯდომარეობს ექვ. თაყაიშვილი

საბჭო უკამათოდ ამტკიცებს სხდომის წესრიგს იმ სახით, როგორც პრეზიდიუმს აქვს აღნუსხული უწყებაში.

სარედაქციო კომისიის მხრივ რ. არსენიძე მოახსენებს ეროვნულ საბჭოს უკანასკნელ რედაქციას იმ კანონებისას, რომელნიც საბჭომ ბოლო კრებაზე მიიღო.

პირველ ორივე საკითხის შესახებ მომხსენებელია საფინანსო კომისიის წევრი მიხ. ყაუხჩიშვილი (სოც. ფედ.). ომის დაწყებისათანავე ჩვენს ქვეყანაში ძალიან გაძნელდა წარმოების შემოტანა ჯერ კიდევ რუსეთის მთავრობამ, რათა წარმოება მთლად არ შეეჩერებინა, ადგილობრივ მოაწყო სამკურნალო მცენარეულობის მოკრეფა. ის ჰკრეფდა ბელადონის ფოთლებს. ეს სამკურნალო მცენარე ჩვენი ქვეყნის ბევრ ბევრ ადგილას მოიპოვება: კახეთში, ქართლსა და იმერეთში და ვინაიდან ეს საქმე დაწყებული იყო, ჩვენმა მთავრობამ გადასწყვიტა ამ დარგში მუშაობის გაგრძე-

კულტურული საქმეა და მეორედ იმიტომ, რომ სავაჭრო ბალანსი ცოტათი გაუმჯობესდება. ბელადონა თითონ მოდის; მოვლა მას არ სჭირია, მისი მოკრეფა ცოტა შრომას მოითხოვს, ღირებულება კი მისი დიდია. შარშან, მაგალითად, ფუთი ბელადონა ღირდა 100 მან. წელს ალბად 200 მანეთამდე ეღირება ამიტომ მთავრობამ გადასწყვიტა შეიძინოს 500 ფუთი, ფუთი ათ თუმნის კვალობაზე; მაშასადამე მთარობას დასჭირდება 50 ათასი მანეთი. ეს ფული, რომლის გაღებას თხოულობს მთავრობა, დარჩება ხალხის ხელში. ხალხი უკვე ამზადებს ამ მცენარეულობას, საჭიროა მხოლოდ მყიდველი. საერთოდ უნდა ითქვას, ეს მცენარეულობა ჩვენს ქვეყანაში მოიპოვება დაახლოვებით 5 ათასი ფუთი, რის შეძენა დაჯდება ნახევარ მილიონი მანეთი. ამას ჩვენს ეკონომიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს და ექნება, თუ არ დავივიწყებთ, რომ დღეს საქმე დასაწყისშია. ჩვენ ეს დარგი უნდა განვავითაროთ და ყოველმხრივ ხელი შეუწყოთ მანვრობა ამ კანონპროექტით დიდ მოგებას არ მიიღებს, მაგრამ მას აქვს დიდი კულტურული და საერთოდ ეკონომიური მნიშვნელობა. ამიტომ საფინანსო კომისია გთხოვთ მიიღოთ წარმოდგენილი კანონპროექტი და სურვილი გამოსთქვათ რათა მემრის მთავრობამ შეისყიდოს მთლად ამ ბელადონის მოსავალი (5 ათასი ფუთი), რასაკვირველია, თუ შესაძლებელი იქნება მისი ექსპორტი. წარმოდგენილ კანონ პროექტით გასაღებია ხარჯად 40 ათასი ბელადონის ფასად და 6 400 მან. ისე ხარჯის გასაწევად, სულ 46 400 მ.

საბჭო კანონპროექტს უკამათოდ ადასტურებს და შემდეგ გადადის მორიგ საკითხზე. ეს საკითხია: უსარგებლოდ სესხის მიცემა ქალაქ ოზურგეთზე 50 ათასი მანეთისა და ერთდროულ დახმარებად 20 ათასი მანეთისა. მომხსენებელი გერ. ქიქოძე მოკლედ აღნიშნავს, რომ ქალ. ოზურგეთი ომის გამო ძალიან დაზარალდა ამიტომ საჭიროა ხსენებული თანხა მიეცეს; ვალს (50 ათას) ქალაქი გადაიხდის სამ წლის განმავლობაში დღიდან საზავო რატიფიკაციის დადებისა.

საბჭო მცირეოდენი ცვლილებით კანონპროექტს იწონებს.

შემდეგი საკითხია ინტერპელლიაცია ნაციონალ-დემოკრატებისა მთავრობისადმი შესახებ საჩხერეში მომხდარ ამბებისა. ვრცელ პასუხს ინტერპელიანტებს აძლევს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი. მოქალაქენო! ეს შეკითხვა ფრიად მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ის ეხება საჭირბოროტო საკითხს არა მარტო იმ მხრივ, რომ ის აშუქებს გლეხთა მოძრაობას ზოგიერთ ადგილებში, არამედ იმიტომ აქვს მას განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის მიზანი იყო დაემტკიცებინა ამ მოძრაობაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ერთი ერის წარმომადგენელნი ოსებიო. მაგრამ საკმარისია ერთი თვალი გადაავლოთ იმ მოძრაობას რომელმაც საჩხერეში იჩინა თავი და დარწმუნდებით, რომ არა თუ რაიმე ეროვნულ მოძრაობაზე ლაპარაკი შეუძლებელია, არამედ ეს იყო უმთავრესად სოციალური მოძრაობა; მე ვამბობ, უმთავრესად მეთქი, რადგან ამ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდნენ ნაციონალისტები, მაგრამ რამდენად ეხება შეკითხვის პირველი ნაწილი ოსთა მონაწილეობს საჩხერეს მოძრაობაში, უნდა განვაცხადო, რომ აქ ოსები არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ. პირიქით შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ადგილობრივ გლეხთა მოძრაობა. ამას ადასტურებს დეპეში ქუთაისის საგუბერნიო კომისარისა, სადაც სხვათა შორის იწერება, რომ ოსები თითქმის არ იღებდნენ მონაწილეობას ორიოდე გამონაკლისს გარდაო. მე მგონია, შესაძლებელი არის ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის წარმომადგენლები გამოვიდნენ და განაცხადონ რომ ეს საბუთი საბუთად არ ივარგებს, რადგან დეპეშა საგუბერნიო კომისარისა არის ხელქვეითი მოხსენება მინისტრისადმი. ამიტომ ნება მიბოძეთ მეორე საბუთს მივმართო. ეს გახლავთ საჩხერიდან მოწერილი კორესპონდენცია რომელიც დაბეჭდილია „სახალხო საქმის“ 294 №-ში (ჰკითხულობს ბრეგვაძე—აბაშიძის ამბავს) ეს შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა არა ოსების მხრივ არამედ ასეთი დაუნდობელი შურისძიება მოახდინეს ადგილობრივმა გლეხებმაო. იგივე კორესპონდენტი სწერს, რომ სოფ. სავანეში ადგილობრივი გლეხები უფრო მეტ სისასტი-

ხედრო ექიმს გიგო აბდუშელიშვილ
რომელიც უკანასკნელი რვა თვეს ცხოვ
რობდა სავანეში, და დიდი მუშაობა
გასწია სანიტარულ ამბულატორიაში, მეტად
დიდი დახმარება აღმოუჩინა მიაყ
ეს უფრო — არა — ოსებს, აქ ათქვემი
უწესოებაზე რომელსაც სჩადიოდა ადგი
ლობრივი გლეხობა.

მე განზრახ შევჩერდი ამაზე იმიტომ
რომ ეროვ.-დემოკ. ფრაქციის შეკითხ
აზრია ეს მოძრაობა დააკისროს სხ
ერის წარმომადგენელს. დღეს იქ, საჩხ
რეში უკვე წესიერება მყარდება. ჩვ
გვარდიის წყალობით დამშვიდება საჩხ
რესი უკვე ფაქტია. უნდა კი განვაც
დო: არავითარი ეროვნული ხასიათი
მოძრაობას არა აქვს იმიტომ, რომ ა
თივე მოძრაობა იყო საქართველოს ს
და სხვა კუთხეებში: სამეგრელოში, ზ
იმერეთში, დუშეთის მაზრაში, თიანე
გორის მაზრაში, რაჭა-ლეჩხუმში. გამ
დის, რომ სხვა და სხვა კუთხის გლე
ცობას ერთი — რამ საერთო აწუხებს
მოძრაობა აიხსნება გლეხთა უკმაყოფი
ლობით აგრარულ საკითხში. ამით სა
გებლობს ის ორგანიზაცია ბოლშევიკუ
რომელიც სხვა და სხვა პროვინცია
თავგანწირვით იბრძვის. საქართველ
დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და ს
სარს არ ერიდება მის მოსასპობად, ა
ტომ ურცხვად სთესს ხალხში პროვო
ციას, ავრცელებს ხალხში ყალბ ხმე
თითქოს სახალხო გვარდია ნამდვილ
მემამულეთა ინტერესების დამცვე
იყოს, რომ გლეხებს საქართველოს მთ
რობა მიწას არ მისცემს და სხვა ამ
თანას: ამით სურს გამოიწვიოს აჯანყ
და დასცეს ჩვენი დამოუკიდებლობა
მისი მთავრობა.

რა თქმა უნდა, აქ ბოლშევიკები მა
ტონი არ არიან, რადგან საქართველო
დამოუკიდებლობას ბევრი მტერი ჰყა
და სხვა და სხვა ჯურის ნაციონალი
ტები ამ ბოლშევიკებს უერთდები
უკავშირდებიან, რათა იმათი საშუალ
ბით მაინც გზა გაუკაფონ თავიანთ ნ
ციონალურ ზრახვებს. ასე, მაგალითა
დუშეთის მაზრაში ბოლშევიკებთან იყ
ნენ ბევრი რუსი ოფიცრები, ბოლშევ
კებმავე ბევრი სომეხი ლტოლვილი თ
ვის იარაღად გამოიყენა ჩვენს საწინ
აღმდეგოდ

ასეთ იარაღად ალაგ-ალაგ იხმარ
ოსებიც. სამხედრო ოსეთში აგრარულ
ურთიერთობა მუდამ განსაკუთრებულ
იყო იქ არის დიდძალი ოსის ხიზნობ
რომლის განდევნას ჩვენი ნაციონალი
ტები ყოველთვის მოითხოვდნენ და ვ
ნაიდან იქ აგრარული ურთიერთო
გართულებულია, ამიტომ იქ აჯანყებ
თუ ამბოხების გამოწვევა მეტად ადვ
ლია. განსაკუთრებით ეს აჯანყება მ
ჰხდა მას შემდეგ, რაც დაშოშმინე
მოჰხდა საჩხერესთან ახლო მდება
სოფლებში და მერე ჩვენი ჯარი მ
(ოსების) სოფლებს მიუახლოვდა. მაგრ
თუ ჩვენ არ შეგვიძლიან დუშეთის გლ
კაცობა, რომელიც გაუგებრობის გა
ბოლშევიკებს მიემხრო, მოვნათლო
მოღალატეებად, იმათ შორის ხომ თა
გამოდებით მუშაობდნენ საქართველ
დამოუკიდებლობის მტრები — ფილი
ჭახარაძე და ქავთარაძე, ისევე ჩვენ
შეგვიძლიან მოღალატეებად მოვნა
ლოთ ოსები.

მე მგონია, ეროვნულ-დემოკრატიულ
ფრაქცია ხელმძღვანელობდა ერთი მ
საზრებით, როცა ეს შეკითხვა შემ
ჰქონდა მთავრობასთან, — დაამტკიცო
ჩვენი რესპუბლიკის სუვერენიტეტი
მისი დამოუკიდებლობა, მაგრამ მე ვშ
შობ ასეთმა შეკითხვამ წინააღმდეგი
გამოიწვიოს. ასეთი გალაშქრება ერ
ერის წინააღმდეგ ხელს შეუწყობს მრ
ვალის ჩვენზე გამოლაშქრებას.

ვიმეორებ: არც ერთ ამბოხებას
ჰქონდა გარკვეული ეროვნული ხასია
ეს იყო გლეხთა აგრარული მოძრაო
ეს დავინახეთ საჩხერეში და დუშე
მოძრაობაში.

მივმართავ ეხლა შეკითხვის მე
ნაწილს. ინტერპელლიანტები გვეკით
ბიან: რით სურს მთავრობას დააკმა
ფილოს დაზარალებულნიო? დაზარალ
ბულ გლეხთა საკითხი ეს იმდენად
რიოზული საკითხია, რომ მისი განხი
ვა განსაკუთრებით არის საჭირო, ხო
მისი გადაწყვეტა შეკითხვით კი
სწყდება, არამედ საკანონმდებლო წ
დადებით.

ამ მხრივ რა გააკეთა მთავრობამ,
კლედ მოგახსენებთ: მივანდეთ ქუთა
საგუბერნიო კომისარს გამოიკვლიო
საერთო ზარალი, რომელიც მტრის
მოსვლამ გამოიწვია გუბერნიის სხვა
სხვა ადგილას, რამდენად შესაძლებე
მათი დაკმაყოფილება, ეს სხვა მრა
მიზეზზეა დამოკიდებული და, სხ
შორის, ჩვენი რესპუბლიკის ფინანს

ამ საკითხს—ვიმეორებ—სხვათა შორის გადაჭრა ყოვლად შეუძლებელია. იგი უნდა გავარჩიოთ შემდეგ და არა ეხლა.

(შემდეგი იქნება).

# ომის დეპეშები

**ბერლინი.** აგვისტოს 2, კრონპრინცის რუპრეხტის ფრონტზე საარტილერიო მოქმედება და მზვერავთა თარეშია.

**გერმანელ კრონპრინცის არმია,** სუასონის და ფერ-ენ-ტარდენუას შუა მოპირდაპირე იერიშებს აწარმოებდა. ჩვენ აქედან ბრძოლით დავსტოვეთ გუშინდელი ველი ბრძოლისა, დიდი იერიშები მოქონდა მოპირდაპირეს ვილ-მონტუარის ორთავე მხარეს, იერიშები მოვიგერიეთ. მოპირდაპირეს ტერიტორია არა დაუპყრია რა, ხოლო ზარალი კი დიდი ნახა. დიდძალი ჯარით ინგლისელებმა და ფრანგებმა დილით გრანდროზუა-ფერ-ენ-ტარდენუას ჩრდილოეთით იერიშები იწყეს. აქ ბუნეის მხრით მოპირდაპირეს ჯავშნოსნებმა მოახერხეს ჩვენი მოწინავე ხაზის გარღვევა და მაღლობების დაჭერა, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ ისინი დააზარალა. რამდენიმე სხვა ადგილას ჩვენ მოპირდაპირის იერიშები მოვიგერიეთ.

პირველ აგვისტოს ჩვენ ჩამოვაგდეთ მტრის 14 ჰაეროპლანი, ჩვენმა ჰაეროპლანებმა, სხვათა შორის, მოსპეს ფრანგების საკომუნიკაციო ბანაკი ბალონის ჩრდილოეთით.

**სტამბოლი.** 8—2. სპარსეთში ჩვენი ჯარი ურმიის ოლქ სწმენდს სომხის ბანდებისაგან, რომელთაც ინგლისთან აქვთ კავშირი. დანარჩენ ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

# უცხოეთი

**ადერბეიჯანი.** ბაქოს მხრით ოსმალოებმა იერიშები განაახლეს. ძლიერ დიდი სისასტიკეა გზებზე. ქიურდამირის იქით არავის უშვებენ. შემოღებულია ტელეგრაფზე ცენზურა.

**ვენა.** 8—2. ეიჰგორნის მოკვლის გამო გაზეთები ამბობენ, რომ მოკავშირე სახელმწიფოები მოსისხლე მტრები არიან რუსეთისა და ჰსურთ იგი და უკრაინა ისევ ომში ჩაითრიონო.

უკრაინის გეტმანმა სკოროპადსკიმ დეპეშით ვილჰელმს თანაგრძნობა და მწუხარება განუცხადა ეიჰგორნის მოკვლის გამო.

# ახალი ამბავი

✦ **ვერის საქალაქო პარკი.** კვირას, 1918 წ. მარიამობისთვის 4 „ტფილისის ქართველ მომღერალთა სახალხო გუნდი" მიხეილ კავსაძის ლოტბარობით მართავს პირველად დიდ სახალხო სეირნობა-კონცერტს რომლის წმინდა შემოსავლიდან გადაიდება 50% მეოთხე რაიონის წითელ გვარდიის შტაბის სასარგებლოთ და დანარჩენი სახალხო გუნდის მუდმივ არსებ. ფონდის სასარგ. სეირნობაში გაიმართება ბევრი სხვა და სხ. კასართობები. დასაწყისი სეირნობისა სრულ 5 საათზედ.

✦ **დუშეთის მაზრის კომისარი ბ-ნი** დუმბაძე, როგორც გავიგეთ თანამდებობიდან გადაყენებულ იქმნა თანახმად თავისი პირადის თხოვნისა და არა დათხოვნილი.

✦ **მასწავლებელთა კურსები.** რადგან სახალხო მასწავლებელთათვის მოწყობილი კურსები მსმენელთა მცირე რიცხვის გამო აგვისტოს პირველს ოფიციალურად არ გახსნილა, ამიტომ იგი გაიხსნება ორშაბათს, აგვისტოს, 5 პირველი გიმნაზიის შენობაში, დილის 6 საათზე ახალი დროით. ჩაწერილები აუცილებლად უნდა გამოცხადდეს. მსურველთა ჩაწერა ჯერ კიდევ გრძელდება, ხოლო აგვისტოს 5-ს ჩაწერა შესწყდება და ახალი მსმენელები აღარ მიიღებიან.

✦ **იურისტთა კრება.** კვირას, აგვისტოს 4-ს ქართულ კლუბის ეზოში დილის 11 საათზე მოწვეულია ქართველ იურსტთა კრება, რომლის მიზანი იქნება იურიდიული საზოგადოების დაარსება და ზოგი სხვა თანამედროვე კითხვები.

✦ **ფულის გადადება** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში გადაიდო 30,000 მან. მოსამსახურეთა მგზავრების ხარჯის დასაფარავად.

✦ სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა დ. თოფურიძე, წევრად ს. მდივანი.

✦ **ხოლერა.** ქალაქის თვითმართველობას გადაეცა 3,000000 მან. ხოლერასთან საბრძოლველად.

✦ **რაჭა ლეჩხუმის დამხმარე კომიტეტი** სთხოვს ტფილისში მყოფ ყველა რაჭველ-ლეჩხუმლებს განურჩევლად სქესისა და მიმართულებისა დაესწრონ კომიტეტის საზოგადო კრებას, რომელიც

# ნამწვი

შენ კი, თვალშეუდგამო, ახალ მოასპარეზად
იმყოფები საგრილოდ! განისვენებ ფარეზად!
ღამით ნამი გაძინებს, ვარსკვლავთ გამოფენაზე,
დილით სხივი გაღვიძებს, შაშვის ჭახჭახ-სტვენაზე,
სუნთქავ ფიჭვის იღლიას, ეტრფი უღალ მთა-გორებს
და ერთეულს, ნეტარო, სიხარული გაორებს.

მაგრამ მეც ხომ მიყვარდა მაგ ჩანჩქერის შხუილი?
ნაგიჟარი ფიქრები, მშვენიერი ტყუილი?
მაგრამ მეც ხომ მიყვარდა ცად აჭრილი ტოროლა
და ლექსების წარმოთქმა ზანტად.. თითო-ოროლა..
და, განა ეგ ლურჯი ტყე—საჯიხვე და საირმე
კოცნით მე არ დავლექსე?! ცრემლით მე არ დავსირმე?!

წელს კი გულგაქურდული, წელს კი გულდარბეული
დავყიალებ ტფილისში კენტი... სალთი... ეული...
მივალ ბაღში. ვწოვ ნაყინს. და ვგრილდები დროებით
სარკმელში დატანებულ თუჯის მარაოებით;
ნაზი, მთლად გადავიქეც ტლანქ საზანდრის დაირად
და მეც ვიწვი, ლამაზო, ვიწვი აქ ორნაირად.—

ხოლო თუ საქართველო,—ვიტყვი, რა გაეწყობა,—
არ იქნება ისე ყრუ, ვით სონეტის ლექსწყობა;
თუ მტრის ჩალახეშებში არ იქმნა გათანგული,
თუ აღნუსხა თვის წიგნში ყველა დამწვარ-დაგული—
ამ ანაწერ ნუსხაში,—სწორედ, არა ყალბადა,—
ნამწვი საუკეთესო მე ვიქნები ალბადა.

ი. გრიშაშვილი.

დედაქალაქი.
შუადღე.

მოწვეულია კვირას აგვისტოს 4 დილით 10 საათზე მუშათა კლუბში (მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ) მიხეილის ქუჩაზე უმთავრესი საკითხი კომიტეტის რეორგანიზაცია. მისი დროს შესაფერად მოწყობაა.

✦ თუ ვინმემ იცის რომე; ქ. კარაკლისში დარჩა 151 განმანაწილებელი პუნქტის გამგე ვასილი ერაზმის-ძე ლემჩინსკი.

შემატყობინოს ან პოსტით ან პირადად: 1 სავაჟო გიმნაზია. შტაბი ბათომის პარტის. პოლკისა

**პორ. ხმალაძეს.**

✦ **საპატიმროთა ინსპექციაში.** რადგან მცირეწლოვან პატიმართა კოლონია, რომელიც ავჭალაში იმყოფება, არსებული დახმარება, საპატიმროთა ინსპექციიდან რომ ყოველთვიურად ხუთი ათას მანეთის სახით ეძლევა, სრულებით არ ჰყოფნის, ამიტომ საპატიმროთა ინსპექტორის შუამდგომლობით იუსტიციის მინისტრმა ნება დართო ინსპექციის თავისუფალ თანხებიდან მცირეწლოვანთა კოლონიას ზედმეტ დახმარებად მიეცეს თვეში კიდევ ხუთი ათასი მანეთი, ე. ი. სულ თვეში 10 ათასი. კოლონიამ აგვისტოს დამატებითი დახმარება უკვე მიიღო ამ რიგად ინსპექციას კოლონიისთვის ხუთი თვის კვალობაზე გადადებული აქვს ოცდა ხუთი ათასი მანეთი

✦ **ჩვენი საპატიმროები.** საპატიმროთა ინსპექტორმა იუსტიცის მინისტრის საშუალებით მთავრობაში შეიტანა კანონპროექტი იმის შესახებ, რომ ტფილისის პირველი საპატიმრო (ეგრედ-წოდებულ საგუბერნიო ციხე), ტფილისის მეორე (მეტეხის ციხე) და ფოთის საპატიმროები გადარიცხულნი იყვნენ უმაღლეს ხარისხის და კლასის საპატიმროებად. ასეთი ზომის საშუალებით ინსპექციას სწადიან ამ საპატიმროებში მოსამსახურე პირებისთვის ჯამაგირის მომატებით მიიზიდოს უფრო შესაფერისი და ღირსეული ხალხი, საქართველოს რესპუბლიკაში ეს ციხე-საპატიმროები თავის მდგომარეობით და მოსამსახურე პერსონალის უზრუნველყოფით იქნებიან პირველნი და საუკეთესონი.

# საყოველთაო სწავლ გა

ისტორიული მიმოხილვა.

ყოფილს რუსეთში და იქ მცხოვრებ უცხო ერებში სახალხო განათლების საქმე მუდამ კუს ნაბიჯით მიდიოდა რუსეთი სრულიად არ ზრუნავდა ხალხის სწავლა-განათლებაზე. პურიშკევიჩებს სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის „უფრო საჭიროდ საპყრობილები მიაჩნდათ, ვიდრე სკოლები". 1802 წლიდან, როცა რუსეთში სწავლა-განათლების სამინისტრო პირველად დაარსდა, სახელმწიფოს ხარჯი სწავლა-განათლების დარგში ბოლო დრომდის სახსენებელიც არ არის. ორ მილიარდ შემოსავლიდან რუსეთის სახელმწიფო უკანასკნელ ხანებში სახალხო განათლებისათვის 0,6% ძლივს-ღა იმეტებდა, 1907 წლის ხარჯთ-აღრიცხვათ 141,500,000 მცხოვრების მიხედვით თითოზე სწავლა-განათლებისათვის ორი შაურიც არ მოდიოდა. ამ ორ-შაურიანმა განათლებამ ვეებერთელა რუსეთი უფსკრულის კარამდე მიიყვანა და მისი ბედი მთელი კაცობრიობის წინაშე სამასხაროდ გახადა. 1912 წელს რუსეთის სახელმწიფო საბჭოში შეტანილი იქმნა კანონპროექტი საყოველთაო სწავლა-განათლების შესახებ, მაგრამ იმავე წლის ივნისის სხდომაზე ხმის უმრავლესობით (91 ხმით, წინააღმდეგ 51) იქმნა დასამარებული.

ყველამ კარგად უწყის, რა წამებს განიცდიდა თავისუფლებას მოკლებული ქართველი ერი—სწავლა განათლების მხრითაც. დრონი იცვალნენ. რუსეთის ბედი ამ ჟამად საგულისხმიერო გაკვეთილია ყველასთვის, ვისაც ამ ქვეყნად დამოუკიდებელი ადამიანური არსებობა სურს, იგი გულგრილად ვერ მოეკიდება სწავლა-განათლების საქმეს, რადგანაც წესიერი და დროს შესაფერი განათლება ყოველი ერის არსებობის ქვაკუთხედია.

ერთი მთავარი საკითხი სახალხო განათლებისა, რომელსაც დღევანდელი ცხოვრება თხოულობს, საყოველთაო სწავლებაა. ამ საკითხის გადასაწყვეტად, საჭიროა გათვალისწინება თუ, როგორ ანხორციელებენ ამას განათლებულს ქვეყნებში, სადაც განსაზღვრული კანონები მოქმედებს დასაწყისი სწავლების ფარგლებში. სხვა და სხვა სისტემების შეფარდება და მათი სათითაოდ განხილვა შეგვაძლებინებს გამოვარკვიოთ თუ, როგორი სისტემა იქნება ჩვენთვის უფრო ხელსაყრელი და როგორი ნიადაგი უნდა ექნეს მას ჩვენი ერის ცხოვრებაში. ასეთის განხილვით, უეჭველია, თავიდან ავიშორებთ ისეთს შეცდომებსაც, რომლითაც სავსეა სწავლების ისტორია უცხო ქვეყნებში.

**საფრანგეთი.** სახალხო განათლების საქმე საფრანგეთში 1887 წლის წესდებით და 1889 წლისა და 1893 წლების კანონებით სწარმოებს. სახალხო განათლების სათავეში ამ კანონების მიხედვით მინისტრია. ადგილობრივ სახალხო განათლების მართვა-გამგეობისთვის 17 აკადემია არსებობს, თითოეული აკადემიის სათავეში რექტორია, დეპარტამენტის აკადემიის სათავეში აკადემიის ინსპექტორი, ეს უკანასკნელი განაგებს დასაწყის სწავლა-განათლების საქმეს პრეფექტთან (დეპარტამენტის უფროსთან) მთავარ და სადეპარტამენტო საბჭოსთან ერთად დეპარტამენტის საბჭოში შედიან ნორმალური სკოლის დირექტორი და დირექტრისა, ორი კაცი მასწავლებელი და ორიც ქალი მასწავლებლების მიერ არჩეულნი.

საფრანგეთში დასაწყის სკოლებად ითვლებიან: დედობრივი სკოლა, საბავშვო კლასები, დასაწყისი ელემენტარული სკოლა, დამატებითი კურსები და მაღალი სკოლა.

დედობრივი სკოლები ბავშვებს პირველდაწყებითს აღზრდას აძლევენ 2—6 წლამდის, ასწავლიან წერა-კითხვას, ხატვასა და ანგარიშს.

საბავშვო კლასები გარდამავალი საფეხურია დედობრივის სკოლიდან დასაწყის სკოლებში, იქ ღებულობენ ორივე სქესის ბავშვებს 4—7 წლამდის. ელემენტარული სკოლა ყოველ საზოგადოებაში უნდა მოეწყოს, სადაც კი მცხოვრებთა რიცხვი 500-ს აღემატება, სკოლები იხსნება ქალ-ვაჟთათვის ცალკე, მაგრამ შეიძლება შეერთებული ქალვაჟთა სწავლებაც, თუ მცხოვრებთა რიცხვი 500-ზე ნაკლებია. სასკოლო შენობის ასაგებად საზოგადოება სახელმწიფო დახმარებას ღებულობს.

სასკოლო პროგრამაში მოთავსებულია: ზნეობა და მოქალაქობრივი უფლება, წერა-კითხვა, დედა-ენა, არითმეტიკა, ისტორია, გეოგრაფია, ელემენტარული ცნობები ბუნებისმეტყველებისა და გეომეტრიისა, ხატვა და ხელგარჯილობა, ჭრა-კერვა ქალებისათვის, გიმნასტიკა და სამხედრო ვარჯიშობა ვაჟებისათვის. სოფლის სკოლაში ასწავლიან აგრეთვე მიწის შემუშავებასა და ბაღოსნობას. სწავლება სამ კურსად არის დაყოფილი: ელემენტარული 6—9 წლამდის, საშუალო 9—11-მდის, უფროსი 11—12-მდის.

მაღალი ტიპის სახალხო სკოლაში ასწავლიან ცხოვრებასთან შეერთულ არითმეტიკას, ელემენტარულ ალგებრას, გეომეტრიას, ანგარიშებისა და დავთრების წარმოებას, ასწავლიან ბუნებისმეტყველებასა და ფიზიკას, რაც საჭიროა მიწის შემუშავების, მრეწველობისა და ჰიგიენისათვის, ხატვას, საფრანგეთის ისტორიასა და ლიტერატურას, კომერციულსა და სამრეწველო გეოგრაფიას, ახალს ენებს, ხელგარჯილობას, ქალებს—ჭრა-კერვას. მაღალ სკოლებში სწავლობენ დაბალ სკოლაში კურს დასრულებულნი 12—16 წლამდის. კერძო სასწავლებელები საფრანგეთში, როგორც პროგრამების არჩევით ისე სასწავლო მეთოდების მხრითაც სრული თავისუფალია. ვინც საჭირო საბუთებს წარუდგენს და წინასწარ განუცხადებს ადგილობრივს უფროსს, მერს, ყველას შეუძლიან კერძო სასწავლებლის გახსნა. თუ აღნიშნული ადგილი მერმა უხერხულად სცნო, შეუძლიან სკოლის გახსნა აუკრძალოს.

საფრანგეთის სკოლების ყველა მასწავლებლებს კანონით დაწესებული დიპლომი უნდა ჰქონდეს. ამას გარდა შტატის მასწავლებლები ვალდებულნი არიან ორი წელიწადი კანდიდატად დარჩნენ სკოლაში პრაქტიკულ მუშაობისათვის და მიიღონ საპედაგოგიო ნიჭის შემამოწმებელი დიპლომები. მასწავლებლები, რომლებიც ორ კლასზე მეტს განაგებენ, დირექტორებად იწოდებიან. მასწავლებლების კანდიდატებად ჩარიცხვა მინდობილი აქვს აკადემიის ინსპექტორს. შტატის მასწავლებლებს აკადემიის ინსპექტორის წარდგენით და მინისტრის დამტკიცებით ამწესებს პრეფექტი, ადგილობრივი დეპარტამენტის უფროსი. კანდიდატ მასწავლებლები ჯამაგირად იღებენ არა ნაკლებ 338 მანეთისა და შტატის მასწავლებლები ბინით—არა ნაკლებ 375 მანეთისა

სახელმწიფოებრივი წესწყობილების ცენტრალიზმი საფრანგეთში სკოლასაც დაეტყო. სახელმწიფო მუდამ ებრძოდა სასკოლო საქმის საშინელ მტერს—ეკლესიას. ამ ბრძოლის წყალობით მთელი უფლება ცენტრში მოექცა, რის გამო სკოლა მეორე უკიდურესობაში ჩავარდა, იგი გახდა სახელმწიფოს იდეალების მქადაგებელი და მასწავლებლებიც ისეთი მსახურნი შეიქმნენ სახელმწიფოსთვის, როგორც ჯარისკაცები თუ სადამდის მივიდნენ საფრანგეთში ასეთი სისტემის წყალობით სჩანს სახელმძღვანელო წიგნებიდანაც; რომელსაც სამინისტრო იწონებს და რომელშიაც განდევნილ რელიგიის ადგილი თავისებურ ეროვნულ რელიგიოზურ ცნებას უჭირავს იმის შესახებ, რომ მთავარი მტერი საფრანგეთისა გერმანიააო და ახალშენების პოლიტიკის უმაღლესი მიზანი დაბალი რასის მაღალისადმი სამსახურში გამოხატებაო.

ლ. ბოცვაძე.

(შემდეგი იქნება).

# ქართველი ებრაელები

(დასასრული*)

ჩვენი ძმობა და შეხმატკბილებული ცხოვრება არაფრად ეჭაშნიკებათ უცხოელების შოვინისტებს, რომლებიც მტრულის თვალით უყურებენ ჩვენს ერთობას

უფრო კი ჩვენში მტრული განწყობილების ჩამოგდებაში და ერთმანეთზე გადაკიდებაში უმთავრეს როლს ითამაშებენ აშქენაზები. (რუსის ებრაელები), რომლებიც, როგორც ჩვენი ერთმორწმუნენი დიდ პრეტენზიებს აცხადებენ ჩვენზე პოლიტიკურ-ეროვნულად. მათი ნაციონალისტები არაფერ ანგარიშს უწევენ ჩვენს დამოკიდებულებას, უფლებას და მოვალეობას საქართველოსა და ქართველ ხალხის წინაშე

ზოგი მათგანი, სარგებლობს რა ჩვენი მთავრობის უმაღლეს წრეებთან დაახლოვებით, მზად არის თავს იდვას ჩვენი წარმომადგენლობა და ილაპარაკოს ჩვენი სახელით, რაც ყოვლად შეუწყნარებელ უკუღმართობად უნდა ჩაითვალოს

რუსების არ იყოს,—გუშინდელი ჩვენი სტუმრები ისინი, დღეს ჩვენვე გვეპატრონებიან და მაშუალობას გვიწევენ ქართულ საზოგადოებისა და მთავრობის წინაშე...

ტფილისის რუსულ გაზეთებს ამას წინეთ მიემატა კიდევ ერთი უცხო ორიენტაციის გაზეთი: ეს გახლავთ ადგილობრივი [illegible] „Еврейскій Голосъ", რომელიც დიდ ქომაგობას გვიწევს [illegible].

ეს ჩვენი არამკითხე გულშემატკივრები მოითხოვენ „სრულს პოლიტიკურ-ეროვნულ ავტონომიას ქართველ ებრაელებისათვის", და მაგალითისთვის ჩვენს მთავრობას მიუთითებენ უკრაინაზე*).

ჩვენ ვფიქრობთ, უკრაინის, რუსეთის, პოლონეთის ან ესპანიის მაგალითი არ დასჭირდება სახემძღვანელოდ ქართველი დემოკრატიის წინამძღოლთ ქართველ ებრაელთა საკითხის გადაჭრაში, რადგან „Еврейскій голосъ"-ზე უკეთ მათ უწყიან, თუ როგორია ქართველი ერის ტენდენცია ამ საკითხში და ან რა ესაჭიროებათ დღეს ქართველ-ებრაელთა მშრომელ მასას, ამ ისტორიულ და განუკვეთელ ნაწილს მთელი ქართველი დემოკრატიისას.

ყოველ შემთხვევაში ეს არ იქნება „ცეჰირე ციონისტების" რეცეპტებით გამოწერილი ჩვენთვის ოდნავი ჩახასახიც კი ჩვენი სეპარაციისა საერთო ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებიდან, ვინაიდან სხვა ქართველებთან ქართველ ისრაელებს აერთებს ერთი მშობლიური ენა, ერთი მიწა-წყალი და საერთო ისტორიული წარსული და კულტურული მომავალი. ამაებით ჩვენ არსებითად განვსხვავდებით აშქენაზებისაგან; მაგრამ ამ უკანასკნელების ნაციონალისტები და სიონისტები არ გვცილდებიან და ჩვენი დემოკრატიის ხსნას ლცნებობენ ჩვენი მათთან გაერთიანებით ეროვნულ-პოლიტიკურად. რათა? იმისთვის, რომ ერთი გვაქვს ჩვენ სარწმუნოებაო ..

რასაკვირველია, ეს დებულება დღევანდელ პირობებში, დრომოჭმული საბუთია პოლიტიკურ მოაზროვნეთათვის მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფანატიკურ მასას, რომელსაც დღეს დღეობით წარმოადგენს ქართველი ებრაელობა, ადვილად დასანახი იქნება, რა შედეგი უნდა მოჰყვეს მათ ჩვენში პან-ისრაელიზმზე და პოლიტიკურ სიონიზმზე ქადაგებას: უარყოფა დედა ენისაქართულისა; განზე გადგომა და დაგმობა სამშობლო-საქართველოსი; გულგრილობა უფლება-მოვალეობის მხრივ ჩვენი ახალი სახელმწიფოსადმი; ჩვენი „გაუცხოელება", და უთანასწოროსა—უთანხმოების ჩამოგდება ჩვენსა და დანარჩენ მკვიდრთა შორის. .

უკვე დაწყებულია მუშაობა და დღეს ორიოდე უპასუხისმგებლო ახალგაზრდა დაძრწის ჩვენი ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში და საშინელ „ცილისწამებას, ინსინუაციებსა და პროვოკაციას ავრცელებენ ერთმანეთზე ქართველ ისრაელებსა და ქრისტიანებს შორის.

გაუნათლებელ და ფანატიკოს ხალხში-კი ეს იწვევს საშინელ სიძულვილს და მტრობას, და რომ ფიზიკური ძალაც შესწევდეთ ამ უბადრუკ გმირებს, შეიძლება ქართველ ებრაელებშიაც მოეწყოთ ერთი პატარა აჯანყება „გოგიაების" რესპუბლიკის წინააღმდეგ.

„კარგი რამ სჭირდეთ, გვიკვირდეს, ავი რა გასაკვირველია"—სწორედ ამ ვაჟბატონებზეა ნათქვამი.

უთანასწორობა და ანტაგონიზმი, მტრობისა და ღვარძლის გაღვივება ორ ძმათა შორის, რომლებსაც ორი, თუ სამი ათასი წელიწადი ერთად უცხოვრიათ და რომლებიც მხოლოდ რჯულით განსხვავდებიან ურთიერთისაგან,—უდიდეს დემოკრატიზმათ და თითქმის სოციალისტურ საქმედაც მიაჩნიათ ამ კაციჭამია „მოსოციალისტე კლერიკალ სიონისტებს ..

ჩვენ ძლიერ გვაოცებს ის პრეტენზიები, რომლებსაც აშქენაზები აყენებენ ჩვენდამი; აგრეთვე ვერ გაგვიგია რა საფუძვლით მოითხოვენ „პოლიტიკურ-ეროვნულ ავტონომიას" ჩვენთვის ეს ჩვენი ძალად-მაცხონე ქირისუფლები?

ნუ თუ მათ ჰგონიათ, ჩვენი ეროვნული საბჭო და თავისუფალ საქართველოს დემოკრატიული მთავრობა ბაზელის კონფერენციით იხელმძღვანელებს ქართველთ ისრაელების საკითხის გადაჭრაში ან არ დაიცავს იგი ჩვენი დემოკრატიის ნამდვილ ინტერესებს და უარჰყოფს მამა-პაპათა საუკეთესო ტრადიციებს, რომ განახლებულს საქართველოში გათიშული დარჩეს საერთო ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებიდან მისი ძირითადი ერთგული შვილი ქართველი ისრაელი?

არა, არა გვჯერა ეს!

**მიხაკო ხანანაშვილი.**

# საქართველოს მოქალაქეობის გამო

ამ დღეებში ჰაისტანის მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელის ა. ჯამალიანის თავმჯდომარეობით შესდგა სხდომა. ამ სხდომაზე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ ქვეშევრდომობის კანონის გამოცხადების საკითხი ირჩეოდა. მონაწილეობა მიიღეს პრესის და რამოდენიმე ეროვნულ დაწესებულებების წარმომადგენლებმა.

*) დასახელებული გაზეთის მეორე ნომერში კი მკითხველს ეცნობება რომ იმავე, წასაბაძავ უკრაინაში გავრცელებულია საშინელი ანტისემიტიზმი და „პოგრომებიც" უკვე დაწყებულა. მ. ხ.

ა. ჯამალიანმა შეკითხვით მიმართა დამსწრეთ. თუ რა აზრისა არიან ტფილისის სომეხ ერის სხვა და სხვა წრეები ქვეშევრდომობის საკითხის შესახებ, რადგან ეს აზრი უნდა შეატყობინოს ჰაიასტანის მთავრობას ამ მორიგ და საჭირო საკითხზე. თათბირის დროს გამოირკვა: ზოგნი იმ აზრის არიან, რომ ტფილისში დარჩენილ სომხების, განსაკუთრებით ინტელიგენტ ნაწილის მოვალეობაა სომხების მდგომარეობის გაუმჯობესობა, რათა შესაძლებელი გახდეს საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადო ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება. მდგომარეობა განმტკიცდება მაშინ, როდა სომეხი მოქალაქენი უფრო მრავალრიცხოვანი იქნებიან საქართველოს დედაქალაქ ტფილისში!

ზოგნი კი იცავდნენ წინააღმდეგ შეხედულობას, მათი აზრით სომხობა უნდა მოგროვდეს ჰაიასტანის მიწა-წყალზე და საქართველოში იძულებითი დარჩენილ სომხებს შეუძლიანთ არ აღიარონ საქართველოს ქვეშევრდომობა, ყოველივე სამოქალაქო უფლებებით ისარგებლებენ.

ლ. ევანგულიანმა შემდეგი აზრი გაუზიარა დამსწრეთ: რადგანაც ქვეშევრდომობის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამხედრო ბეგარის საკითხთან, სომხეთის მთავრობას შეუძლიან ოფიციალურად მიმართოს საქართველოს მთავრობას თხოვნით, რომ საქართველოს საზღვრებში მცხოვრებ სომხებიდან არ გაიწვიოს ჯარის კაცები; ასეთივე თხოვნით მიმართოს აგრეთვე ადერბეიჯანის მთავრობას, სადაც 700 ათასი სომეხი სცხოვრობს, ბოლოს სხდომამ საჭიროთ სცნო ქვეშევრდომობის კანონის უფრო დაწვრილებით გამოსაკვლევად აირჩიოს იურისტებიდან საგანგებო კომისია.

კომისიაში აირჩიეს შემდეგი პირები: ს. არუთინიანი, ი. სპენდერიანი, ს. მამიკონიანი, ი. ხუნუნცი, ლ. ევანგულიანი და ხანდანიანი. ამ კომისიას მიეცა კოოპტაციის უფლება.

# დარიალის დაცემა და იქ მყოფი ჯარის ნაწილის ბედი

სანამ დუშეთში ამბოხება მოხდებოდა, კავკავის ბოლშევიკები ლამობდნენ შემოჭრილიყვნენ დარიალით საქართველოში და ტფილისზე წამოსულიყვნენ რომ დაენგრიათ. ეს „კონტრრევოლიუციონურ მთავრობის ბუდე“ და „დაემყარებინათ წესიერება“ სახალხო საბჭოების დაარსებით. მაგრამ ეს მათი ავანტიურა მალე იქმნა გაგებული და დარიალი გამაგრებულ ყაზბეგელ მცხოვრებლების და მთავრობის ჯარის დახმარებით. პირველი დამარცხების შემდეგ ბოლშევიკები ველარ ბედავდნენ შემოტევას დარიალით, მხოლოდ პოზიცია კი ისევ ეჭირათ ახალ ლარსში. კავკავის ბოლშევიკურ გაზეთებში ყოველ დღე იბეჭდებოდა ათასნაირი პროვოკაციული წერილები ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ და მიზნად ისახავდნენ როგორმე საქართველოში შემოჭრილიყვნენ და „წესიერება აღედგინათ“, ერთ თვეს ჩვენ ვიდექით დარიალის ციხეში და ვამაგრებდით კარებს. ამიტომ რუსეთიდან არავითარი საფრთხე არ იყო მოსალოდნელი, მაგრამ ნათქვამია „ციხე შიგნიდან გატყდება“-და მართლაც ამავ დროს თურმე ბოლშევიკების მიერ დაქირავებული აგენტები დაუცხრომლად ეწეოდნენ მთავრობის საწინააღმდეგო მუშაობას.

ივნისის 22 ყაზბეგი და დარიალის ციხის კომენდანტები ყაზბეგიდან გადმოგვცემენ ტელეფონით, რომ საჩქაროდ გაიგზავნოს დარიალიდან ყაზბეგში არტილერია და ტფილისის მფრინავი რაზმი, რადგან დუშეთიდან მიდის ამბოხებული ხალხი და დარიალის აღებას ლამობს, რომ გამოუშვან ბოლშევიკებიო. მაშინავე საჩქაროდ მოვხსენით ზედმეტი ჯარი, დარიალში ჩავაყენეთ ქუთაისის მფრინავი რაზმი ფალიანისა და გამოვეშურეთ ყაზბეგში.

ამოსვლისათანავე დავიჭირეთ პოზიცია და საქმეს შეუდექით. იმ დღეს ყაზბეგელებს და ჯარის კაცებს დელეგაცია გავგზავნათ მოსულ გლეხებისათვის შეეტყოთ თუ ვინ იყვნენ ისინი, ან რა იყო მათი მიზანი. ივნისის 23 საღამოზე დაბრუნდა დელეგაცია და ულტიმატიუმი მოიტანა მათ მიერ წამოყენებული. ვადას იძლეოდნენ ივნისის 24-ს 12 საათს წინააღმდეგ შემთხვევაში გამოლაშქრებით იმუქრებოდნენ. ულტიმატუმი მეტად უშნოდ იყო დაწერილი და საკითხები ერთმანეთში არეული, მაგრამ საერთო აზრი შემდეგი იყო მაინც.

1. დუშეთის გლეხთა ორგანიზაციას სურს შეიერთოს შემდეგი სოფლები: ყაზბეგი, სნო და ცხო და დაამყაროს მათ შორის ძმური განწყობილება, დაარსოს შტაბი სამუდამოდ დუშეთში.

2 წითელ გვარდიას აეყაროს იარაღი და ჩაბარდეს ს. სიონში მარტიას შტაბს და თუ კი ყაზბეგი და დანარჩენი სოფლები შეუერთდნენ, მაშინ შტაბის გადატანა შეიძლებოდა ყაზბეგში.

3 დარიალის კარების გახსნა და პურის გამოშვება.

ეგეთი იყო საერთო აზრი ულტიმატუმისა, რომელზედაც პასუხი უნდა გაგვეცა. მეორე დღის 12 საათამდის.

რადგან დღე უკვე მიწურული იყო, ამ საკითხების გარჩევა მეორე დღის დილისთვის იქმნა გადადებული. პოზიცია გამაგრებული იყო და თუ რაიმე გამოლაშქრება იქნებოდა მოწინააღმდეგეს მხრით ჩვენ პასუხი უნდა მიგვეცა. ღამით როგორც იქმნა გამოველაპარაკეთ ტფილისში სამხედრო მინისტრს გ. გიორგაძეს და ყოველივე დაწვრილებით გადავეცით. შევეკითხეთ, ჯარის კაცებმა ჩავაბაროთ იარაღი თუ არა. ამაზე მინისტრი კატეგორიულ პასუხს იძლევა: არავითარ შემთხვევაში არ დანებდეთ“ მაშინ ჩვენ ვსთხოვეთ გამოეგზავნა ჰაეროპლანები და თუ იყო ტფილისში ჯავშნოსანი ავტომობილები. შევეკითხეთ აგრეთვე თუ სად იდგა ტფილისდან ჩვენი ჯარი და გადავეცით რომ სამი სოფელი ყაზბეგი, სნო და ცნო ჩვენთან არიან და მზად არიან სისხლით დაიცვან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა. მინისტრი პირველ შეკითხვაზე არაფერს გვიპასუხებს მხოლოდ გადმოგვცემს, რომ ზომები მიღებულ იქნება და მადლობა გადაეცით ჩვენ მომხრე სოფლელებსო. ამის შემდეგ მინისტრი აპარატს სცილდება ეს ჩვენთვის ძალიან ცოტა იყო მართალია სამი სოფელი: ყაზბეგი სნო ცნო ჩვენთან იყვნენ, მაგრამ საომარი მასალა ძალიან ცოტა გაგვაჩნდა და მოწმოდებელი კი არავინ იყო. აგრეთვე არ ვიცოდით, თუ საიდან იყო მომდგარი ჩვენი ჯარი და სად ჰქონდა პოზიცია რომ იმედი გვქონოდა მათ მოსვლამდის გავმაგრებულიყავით მდგომარეობა მეტად კრიტიკული იყო და გამოსავალი გზა ვერ გვეპოვნა, მეორე დღეს, ივნისის ოცდა ოთხს ს. ყაზბეგის თეატრის დარბაზში შეიკრიბა ხალხი ყაზბეგელები და დანარჩენი სოფლის წარმომადგენლები გაერჩიათ ყველა მათ მიერ წამოყენებული მუხლი და პასუხი გაეცათ. კრებას თითქმის ყველანი დაესწრენ და კრება გაიხსნა ყაზბეგის მღვდლის ლუდუშაურის თავმჯდომარეობით. მდივნად არჩეულ იქმნა ჯარისკაცი პალლადი ჩხიკვაძე ყველას სახეზე რაღაც გამოუთქმელი სევდა ეხატებოდა დიდი ხნის კამათის შემდეგ შემდეგი დადგენილება იქმნა მიღებული.

1. მოვისმინეთ რა მოთხოვნილება დუშეთის გლეხთა ორგანიზაციისა ჩვენი მათთან შეერთების კრებამ დაადგინა: ჩვენ თანახმანი ვართ შევიდეთ დუშეთის გლეხთა ორგანიზაციაში **თუ კი ამას ნებას დართავს საქართველოს მთავრობა.**

2. რაც შეეხება დარიალის გახსნას და პურის გამოშვებას, ეს საქართველოს მთავრობის საქმეა და კიდეც სწარმოებდა მოლაპარაკება თერგის ოლქის რესპუბლიკის მთავრობის და ჩვენ მთავრობათა შორის, და დაიდო მათ შორის ხელშეკრულება, რომელსაც ვიზიარებთ ჩვენ და მის წინააღმდეგ არ წავალთ.

3. ჯარისკაცების იარაღის ჩამორთმევის შესახებ დადგენილ იქმნა, რომ აქ დარიალში წითელი გვარდია არ არის, არამედ ტფილისის მფრინავი რაზმი და მეორე საარტილერიო ბრიგადის ერთი „ვზვოდი“, რომელიც იცავს სამხედრო გზას ქურდ ყაჩაღებისაგან და დარიალის კარებს შეიარაღებული ბრბოს შემოსევისაგან, რომელიც არ იცნობს არავითარ პარტიის მიერ დაარსებულ შტაბს და ვერც იარაღს ჩააბარებს. იარაღი საქართველოს მთავრობისაგან გვაქვს მიღებული და მასვე ჩავაბარებთ. და თუ თქვენ წინააღმდეგობას გაგვიწევთ, ჩვენ მას დავიცავთ და უსისხლოდ არავის ჩავაბარებთ.

კრება დიდხანს გაგრძელდა; უკვე 12 საათი იყო და მოწინააღმდეგენი ჩვენ პასუხს ელოდნენ რადგან ვადა გასული იყო და მოსალოდნელი იყო მათი გამოლაშქრება (გლეხების ბრბო ს. სიონში იდგა, რომელიც 9 ვერსით არის მოცილებული ს. ყაზბეგს) პოზიციებზედ ხალხი იყო დამდგარი, თუ რაიმე შემთხვევა იქნებოდა ეცნობებიათ და ჩვენც მზად ვიყავით პასუხი გაგვეცა

ჩვენი მდგომარეობა ძლიერ საშიში იყო. ვგრძნობდით რომ დიდხანს ვერ გაუძლებდით და ბოლოს მაინც დავმარცხდებოდით. ამიტომ ვცდილობდით საქმე გაგვეჭიანურებინა, დრო მოგვეგო და შეიძლებოდა ამ დროს ტფილისიც დაგვხმარებოდა. ამიტომ მიღებული რეზოლიუციები გვერდზედ გადავდევით და შემდეგი გზა ავირჩიეთ. გავაგზავნეთ დელეგაცია მოსალაპარაკებლად შემდეგის ქაღალდით:

„ჩვენ გავიგეთ, რომ თქვენ ამოძრავებულხართ უპურობის ნიადაგზედ, რომელსაც ჩვენ ძლიერ განვიცდით, მაგრამ თქვენ მიერ წამოყენებულ ულტიმატუმში ამაზედ არაფერია ნათქვამი. ამიტომ კრება სურვილს გამოსთქვამს შეგვატყობინოთ თქვენ მოძრაობის ნამდვილი მიზეზი და მაშინ ჩვენც შეძლება გვექნება ყველა თქვენ მიერ წამოყენებულ საკითხებზე შესაფერისი დალაგებული პასუხი გაგცეთ“.

ამორჩეულ იქმნა დელეგაცია და გაგზავნილი, რომელსაც პასუხი უნდა მოეტანა საღამოს 8 საათამდის და თუ 8 საათზედ პასუხი არ მოვიდოდა მაშინ გვეცოდინებოდა, რომ საქმე ცუდად იყო, დელეგაცია დატყვევებული იქნებოდა და ჩვენც სროლას აუტეხდით.

პასუხს მოუთმენლად მოველოდით, მთელი ყაზბეგი ფეხზედ იდგა. გული რაღაცას გრძნობდა. ყაზბეგის ახლოს, სადაც ზარბაზნები იდგა დავდგით ციისის „ტრუბკა“ და მიდამოებს ვზვერავდით. თვალ-ყურს ვადევნებდით ამბოხებულების მოძრაობას, ვხედავდით, რომ მათი მზვერავები გაფაციცებით მუშაობდნენ და დურბინდებით ჩვენ გვზვერავდნენ. ს. სიონის სოფლის სკოლასთან ბლომად ხალხს თავი მოეყარა და ფაცაფუცობდნენ. ისმოდა სროლის ხმა. როგორც მერე გავიგეთ, ამბოხებულები ჩვენი მომხრე სოფლის სნოს მწყემსებს დასცემოდნენ და ცხვრის ფარის წართმევას ლამობდნენ, მაგრამ მწყემსებმაც უპასუხეს და მტაცებლებიც გაიქცნენ სისხლი არ დაღვრილა. საღამოს 6 საათი იქნებოდა, დავინახეთ უკან დაბრუნებული დელეგატი თეთრი ბაირაღით. ყველას იმედი მოგვეცა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ დელეგაცია მეამბოხეებისა იყო, ჩვენთან გამოგზავნილები, ჩვენი დელეგაცია კი დაეტყვევებინათ.

(შემდეგი იქნება).

პ. ჩხიკვაძე.

# პირადი შურისძიება თუ საზოგადო საქმე?

საქართველოს რესპუბლიკას მრავალი მტერი აღმოუჩნდა. მაგრამ გარეშე მტერი ისე საშიშარი არ არის, როგორც შინაური მეგობართა ქურქში გახვეული. საშიშარი მტრები არიან, ვინც ჩვენი ოჯახის წევრებათ ითვლებიან და ჩვენსავე ოჯახს ძირს უთხრიან. ასეთ საშიშარ ოჯახის წევრებათ გამოდიან ის გარეშე ეროვნებათა პირნი, რომელნიც ჯერ კიდევ ჩვენს ავ-კარგიანობას და სიმდიდრე ქონებას მეთაურობენ. როგორც მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ სადღე-ხვალოთ არის დარჩენილი და გადადებული ჩვენი დაწესებულებათა გაეროვნების საქმე. და ზოგიერთ დაწესებულებათა მეთაურთ და საპასუხისმგებლო ადგილებზე კიდევ საქართველოს რესპუბლიკის გერ-დედინაცვლები დგანან და ისინი იძლევიან თავისებურს განკარგულებებს. შეიძლება ზოგჯერ მათი განკარგულებანი არ იყოს ასრულების ღირსი, მაგრამ სად არიან გულ-გმირნი და გაბედულნი ხელქვეითნი, რომელნიც წინააღუდგებიან უკანონო და ჩვენი რესპუბლიკის შეუფერებელს და უსარგებლო განკარგულებებს! და თუ აღმოჩნდა, ვინმე ასეთი გამბედავი მოქალაქე და ხმა აღიმაღლა, მალე დაატ ვებ ნებენ თვის ადგილს და გუდა-ნაბდით გაისტუმრებენ.

ასე იყო ძველათ დაბალ მოსამსახურეთა ბედი და ასევე ხდება დღეს! მერე სად არის დემოკრატიული პრინციპები?!

მრავალი მაგალითებით, რომ მკითხველი არ შევაწუხო საილუსტრ ციოდ მხოლოდ ერთს მაგალითს მოვიყვან: ტფილისის ქალაქის სასურსათო განყოფილების ერთ გამგეთაგანთან, სახელდობრ მიანსაროვთან, მოვიდნენ და პური ითხოვეს. მიან საროვმა მიიღო მთხოვნელები, მოისმინა მათი თხოვნა და შემდეგ ირონიულის კილოთი უპასუხა: „ჩვენ არა გვაქვს და რა ვქნათ, საქართველოს რესპუბლიკას და მის მთავრობას სთხოვეთ და ისინი მოგცემენ პურსო“. ასეთმა პასუხმა მთხოვნელები გააკვირვა და იქვე მყოფი მოსამსახურე, პურის ბიუროს გამგე, კუპუნიძე კი მეტად აღელვა, რომელმაც შენიშნა „პატივცემულ“ მიანსაროვს, რომ ასე დაცინვა და დამცირება საქართველოს რესპუბლიკის და მისი მთავრობისა, მთხოვნელების თვალში, თქვენი თქმით და მოქმედებით არ არის კარგი და ლამაზიო. ასეთმა შენიშვნამ, რა თქმა უნდა გამოიწვია მიანსაროვის გულის წყრომა, რომელიც მომავალი შემთხვევისთვის შეინახა, რათა თვისი ბოღმა და სიბრაზე იქ გადმოენთხია, სადაც მეტი გასავალი და ფასი ექნებოდა კუპუნიძის საზიანოდ.

ერთ მშვენიერ დღეს კვლავ მოვიდნენ პურის მთხოვნელები მიანსაროვთან და მთხოვნელთა შორის ტერაპევტიული ინსტიტუტის საზოგადოება თხოულობდა 10 ტომარა პურის ფქვილს. როგორც პურის განყოფილების გამგემ—კუპუნიძემ უკანასკნელ მთხოვნელთ წინადადება მისცა; რომ მათ წარმოედგინათ ანგარიში წაღებულ 9 ტომარა ფქვილისა და შემდეგ მიიღებდნენ კიდევ 5 ტომარას, რადგან ფქვილი მეტი არ არისო.

ასეთი პასუხის შემდეგ მათ მიმართეს მიანსაროვს. მიანსაროვმა მისცა ასეთი ქაღალდი: „მიეცით ხუთი ტომარა ფქვილი“. ასეთი განკარგულების შემდეგ კუპუნიძემ მოვალედ ჩასთვალა თავი, რომ მიანსაროვისათვის ეცნობებინა საქმის ვითარება. შევიდა მის კაბინეტში და მოახსენა, 9 ტომარა ფქვილის ანგარიშის წარმოუდგენლობის შესახებ. მიანსაროვმა უპასუხა კუპუნიძეს: „ერთხელ ვბრძანე—მიეცით“. კუპუნიძემ უპასუხა: „მე პასუხის მგებელი თანამშრომელი ვარ და არა მაქვს უფლება მივსცე ფქვილი მათ, ვისაც ანგარიში არ წარმოუდგენია წაღებული ფქვილისა და ამიტომ გთხოვთ რეზოლიუცია მიაწეროთ: მოეთხოვოს ანგარიში ძველს და ახალ წაღებულ ფქვილისა.

ასეთმა თხოვნამ მინიასაროვი გააბრაზა და დაუყვირა კუპუნიძეს: **„ნუ უჩვენებთ გამგეობის წევრს, როგორ დასწეროს რეზოლიუცია თუნდაც მან წევრმა უკანონო განკარგულება გასცეს, თქვენ უნდა დაუყონებლივ შეასრულოთ“.** კუპუნიძემ ამაზე უპასუხა: „უკაცრავად, მაგრამ უკანონო განკარგულებას ვისგანაც არ უნდა გამომდინარეობდეს მე არ შევასრულებო“.

ასეთი კამათის შემდეგ მინიასაროვმა, ვითომ, მოხერხებული დრო იხელთა თვისი დაფარული ბოღმისა და გესლის გადმონთხევისა და თვის ამხანაგებში აღძრა საკითხი კუპუნიძის დათხოვნისა.

შეერთებულმა სამებამ—პაპოვმა, მიანსაროვმა, ვითომ, მოხერხებული დრო იხელთა თვისი დაფარული ბოღმისა და გესლის გადმონთხევისა და თვის ამხანაგებში აღძრა საკითხი კუპუნიძის დათხოვნისა.

შეერთებულმა სამებამ-პაპოვმა, მიანსაროვმა და ზურაბოვიმა დაადგინეს დათხოვნა და ეს დადგენილება კუპუნიძეს აცნობეს. ამ დადგენილების შესახებ კუპუნიძის თანამოსამსახურეებმა იქონიეს მსჯელობა და დაადგინეს, რომ კუპუნიძე საქმის გამორკვევამდე თვის ადგილზე იქმნეს დატოვებული და ეს მოსამსახურეთა დადგენილება ეცნობოს სასურსათო განყოფილების ხმოსნებს. ამ რეზოლიუციის წარდგენამდი ხმოსნებმა თვით უარყვეს თვისი დადგენილება, მაგრამ შემდეგ ისევ ახალი დადგენილება გამოიტანეს და წინადადება მისცეს კუპუნიძეს: „საქმეები გადაეც თანაშემწეს თქვენ ახალი ბინა ეძიეთო.

ვინაიდან სასურსათო ხმოსნების ასეთი დადგენილებაში მოსამსახურეებმა დაინახეს უსამართლობა და მიანსაროვის პირად შურის ძიებას მიაწერეს, ამიტომ აირჩიეს საგამომძიებლო კომისია, რომელიც სიჩქარით გამოარკვევს საქმის ვითარებას.

მიუხედავად გამოძიების წარმოებისა ზურაბოვიმა უბრძანა კუპუნიძეს და მის თანაშემწეს, რომ პირველს მეორესათვის გადაეცა საქმეები და მეორეს პირვ ლისაგან სიჩქარით მიეღო ყოველივე საქმეები და ქაღალდები.

როდესაც კუპუნიძის თანაშემწემ ტატაკოვსკიმ ასეთ წინადადებაზე პრინციპიალური უარი განუცხადა, მაშინ ზურაბოვიმა უთხრა:—გაფრთხილებთ და ოფიციალურად გიცხადებ რომ თუ არ მიიღებ კუპუნიძისაგან საქმეებს და არ იკისრებ პურის ბიუროს პასუხის მგებლობას, განცხადებას შევიტან ამხანაგებში შენი დათხოვნის შესახებო. ასეთი ულტიმატუმის გამო ტასტაკოვსკიმ წერილობითი განცხადებით მიმართა ქალაქის თვითმართველობის აღმასრულებელ კომიტეტმა მიიღოს შესაფერი ზომები და უჩვენოს გზა ტასტაკოვსკის, თუ როგორ მოიქცეს ასეთს შექმნილს და რთულ პირობებში.

აი, როგორ ნაყოფიერ შრომას ეწევიან საზოგადოების სასარგებლოდ საზოგადოების არჩეულნი პირნი...

დასცინიან ჩვენს რესპუბლიკას, მოქმედებენ მის საზარალოდ და მაინც კიდევ მათ უჭირავთ სადავე ჩვენი ცხოვრებისა! ..

ნუთუ არ მოგვეძებნება საქართველოს გულ შემატკივარნი—ქართველობა რომ დროზედ მოჰკიდონ საქმეს ხელი, რათა გადავარჩინოთ დაღუპვას.

მოქალაქე.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

**ექიმი** ლ. შარაშანიძე იღებს დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს. და საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქ. № 7. 21

**ექიმი** მ. ი. ბერიაშვილი დაბრუნდა, იღებს ვენერიულ და საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობის. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 450

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. კირილანოვის ქ. № 6.

**ექიმი** ქალისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფთ მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქ. № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 12

**ექიმი** ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, კუჭით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 426

**ექიმი** კ. ტუღუშელაშვილი იღებს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914) შეშხაპუნება). საღამოობით $5^1/_2$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

**ექიმი** დ. ვ. ჯავახიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩა № 41. ტელეფ. 14—09. 103

**ექიმი** პავლე არდაზიანი დაბრუნდა, იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 100

**ექიმი** ზ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

**კერძო მიხეილის სამკურნალო მუდმივი ლოგინებით.**
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167 74

**ექიმი** ი. დ. ჯაფარიძე შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებიანი ავადმყოფებს მიიღებს დილ. 11—1 ს საღამოს 5—7 ს მადათოვის ქ. № 7 ტელეფონი 17—49. 11

**ექიმი** ვ. ლ. შალამბერიძე იღებს შებით და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეროვსკის ქ. № 7. 1027

**ექიმი** ბ. გ. მუხაძე იღებს სადოხტ რო ავადმყოფთ. საღამოს 5 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდ მთავრის ქ. № 7, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახ სვანიშვილისა, ტელეფ 5—77. 1050

**მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა ნ. ლ. ტურიაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვებისა, საშებით და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმონოვის აფთიაქის გვერდით. 624

**თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ ლოხინისა**
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (ამოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 630

**ექიმ ნავასარდიანის კერძო ქერო სამკურნალო**
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
**ბ. ა. ნავასარდიანი**—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმ.)
**ე. ი. მაშნერი**: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
**ბ. გ. აგასაროვი**: $9^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმ.
**ავეტისიანი**—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.
**მ. მ. ბენიამოვიჩი**: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
**ხ. გ. ავეტისიანი**—9—11 საკუთრივ ბავშვთა ავადმ.
ი. ი. **ტერ-გრიგორიანცი** 1—2 ს. შინაგანი.
**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
**ა. ნ. ისაკიანი**: 6—7 ს. ქალური ავადმყოფობანი და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. **ნავასარდიანი.** 1019